

რეკომენდაცია

შემუშავებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20¹ და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

ბატონო გიორგი,

2016 წლის 17 ივნისს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს მომართა დ. ხ-მ (შემდგომში განმცხადებელი), რომელიც არის ეტლით მოსარგებლე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი. განმცხადებელი მიუთითებს, რომ 2016 წლის 15 ივნისს, დაახლოებით 05:00 საათზე, იგი გახდა სავარაუდო დისკრიმინაციის მსხვერპლი საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მხრიდან.

სახალხო დამცველის მიერ საქმისწარმოების პროცესში განმცხადებლის ინტერესებს წარმოადგენენ ორგანიზაცია „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ (PHR) წარმომადგენლები ა. ა., ა. ა., ნ. გ. და ა. ს. და ააიპ „ადამიანის უფლებების სწავლების და მონიტორინგის ცენტრის“ (EMC) წარმომადგენელი გ. ი. განმცხადებლის წარმომადგენლებს გასაცნობად გაეგზავნათ საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და მიეცათ საკუთარი პოზიციის დაფიქსირების შესაძლებლობა.

საქმის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა მოპასუხე - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან (შემდგომში შსს) და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის დეპარტამენტიდან, ასევე საქართველოს პროკურატურიდან შესაბამისი ინფორმაცია გამოითხოვა.

1. ფაქტობრივი გარემოებები

განმცხადებლის დ. ხ-ს 2016 წლის 16 ივნისის გამოკითხვის ოქმის თანახმად, 2016 წლის 15 ივნისს, დაახლოებით 05:00 საათზე, იგი თავის სამ მეგობართან ერთად (მ. ჩ., ი. გ., ზ. პ.), თბილისიდან ქუთაისის მიმართულებით მიემგზავრებოდა ი. გ-ს მანქანით. ვინაიდან ი. გ-ს მართვის მოწმობა არ ჰქონდა, მანქანას ზ. პ. მართავდა. ამ უკანასკნელმა საჭესთან თავი შეუძლოდ იგრძნო, რის გამოც საჭესთან დასვა ნასვამ მდგომარეობაში მყოფი ი. გ. ადგილების გაცვლის შემდეგ, ი. გ-მ მანქანა ვერ დაძრა გაუმართაობის გამო და გადავიდა მანქანის შესამოწმებლად, რა დროსაც მათ საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი მიუახლოვდა. განმცხადებლის განმარტებით, მის მეგობრებსა და საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს შორის წარმოიშვა კონფლიქტური სიტუაცია. ამ დროს განმცხადებელს მოუხდა მოშარდვა, რისთვისაც მან ი. გ-ს მანქანის საბარგულიდან ეტლის გადმოტანა სთხოვა.

მიუხედავად იმისა, რომ საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა შეიტყვეს განმცხადებლის საჭიროებების შესახებ, ი. გ-ს არ მისცეს ეტლის საბარგულიდან გადმოტანის შესაძლებლობა. განმცხადებლის განმარტებით, ეტლის გადმოტანასთან დაკავშირებით მისი მეგობრები დიდი ხნის განმავლობაში ეკამათებოდნენ საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს, რა დროსაც მას უწევდა შარდის შეკავება. გარკვეული დროის შემდეგ, შარდის შეკავება შეუძლებელი აღმოჩნდა და განმცხადებელს ფიზიოლოგიური მოთხოვნების დაკმაყოფილება მანქანაში მოუწია. დ. ხ. დაახლოებით 4 საათის განმავლობაში იჯდა სველ მდგომარეობაში და ეწვოდა ჭრილობა (ნაწოლი). მისი განმარტებით, ეტლის საბარგულიდან გადმოტანა მხოლოდ საპატრულო პოლიციის მეორე ეკიპაჟის მისვლის შემდეგ შესთავაზეს, თუმცა, მან ეტლში გადაჯდომაზე უარი განაცხადა, ვინაიდან სველ მდგომარეობაში მანქანიდან გადასვლა ეუხერხულებოდა. განმცხადებელმა მანქანიდან ეტლში მას შემდეგ გადაინაცვლა, რაც მას მეგობარმა დაურეკა და შეატყობინა, რომ გორის მიმდებარე ტერიტორიაზე იმყოფებოდა და მას მალე მიაკითხავდა. აღნიშნულის შემდეგ, საპატრულო პოლიციის ეკიპაჟმა მანქანა ევაკუატორით გადაიყვანა და განმცხადებელი მეგობრებთან ერთად ქუჩაში დატოვა. განმცხადებელი მიუთითებს, რომ საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მხრიდან ის გახდა დისკრიმინაციის მსხვერპლი.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანასწორობის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა ასევე გამოკითხეს განმცხადებლის მეგობრები ზ. პ., ი. გ. და მ. კ; ზ. პ. და ი. გ. ადასტურებენ, რომ მათ განუმარტეს საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს, რატომ იყო აუცილებელი დ. ხ-სთვის ეტლით სარგებლობა, თუმცა მათ არ მისცეს ეტლის საბარგულიდან გადმოტანის შესაძლებლობა. მათი განმარტებით, საპატრულო პოლიციის თანამშრომლები აცხადებდნენ, რომ ეტლის გადმოტანის საშუალებას არ მისცემდნენ, ვიდრე ჯარიმას არ გამოწერდნენ სამართალდარღვევისთვის. მართალია, მეორე საპატრულო პოლიციის ეკიპაჟის მოსვლის შემდეგ, განმცხადებლის მეგობრებს ეტლის გადმოტანის საშუალება მიეცათ, მაგრამ დ. ხ-მ მანქანიდან გადმოსვლაზე უარი განაცხადა, ვინაიდან, საკუთარი მდგომარეობის გამო, თავს დამცირებულად გრძნობდა, რის გამოც პატრულის თანამშრომლები გაბრაზდნენ და განაცხადეს: „*მაშინ შიგნით იჯდეს და ისე წაიყვანოს ევაკუატორმა*“-ო.

განმცხადებლის მეგობრების განმარტებით, ზემოაღნიშნულის შემდეგ, საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა მათ სამარშრუტო ტაქსის გაჩერება შესთავაზეს, რაზეც ისინი იძულებულნი იყვნენ უარი განეცხადებინათ, ვინაიდან, განმცხადებელი, საკუთარი მდგომარეობის გამო, აღნიშნული ტრანსპორტით ვერ ისარგებლებდა. მათი მითითებით, განმცხადებელი ბოლოს გადმოვიდა მანქანიდან, რის შემდეგაც მანქანა ევაკუატორით წაიყვანეს, ისინი კი ქუჩაში დატოვეს. ამავე დროს, მათ თბილისიდან ჩამოაკითხა მეგობარმა მ. კ-მ, რომელმაც დ. ხ-ს გამოსაცვლელი ტანსაცმელი ჩამოუტანა და მეგობრები განმცხადებელს ტანსაცმლის გამოცვლაში დაეხმარნენ.

ჩვენთვის მოცემულ განმარტებებში განმცხადებლის მეგობრები ხაზგასმით მიუთითებენ დ. ხ-ს მძიმე ფსიქოლოგიურ და მორალურ სტრესზე, ვინაიდან, იგი, რამდენიმე საათის განმავლობაში, წელს ქვემოთ სველი იყო და კანკალებდა.

საქმის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა დეტალური ინფორმაცია გამოითხოვა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან და შსს გენერალური

ინსპექციის დეპარტამენტიდან. შსს-ს 2016 წლის 4 ივლისის წერილით და შსს-ს გენერალური ინსპექციის დეპარტამენტმა 2016 წლის 29 ივნისის წერილით სახალხო დამცველს მიაწოდა ინფორმაცია მხოლოდ იმის შესახებ, რომ გენერალური ინსპექცია სწავლობდა საქმეს და საქმის შესწავლის შედეგებს დამატებით აცნობებდა.

აღნიშნულის საპასუხოდ, სახალხო დამცველის აპარატმა შსს გენერალური ინსპექციის დეპარტამენტს წერილობით განუმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363² მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სასამართლოსთვის სარჩელით მიმართვა შესაძლებელია 3 თვის განმავლობაში მას შემდეგ, რაც პირმა გაიგო ან უნდა გაეგო იმ გარემოების შესახებ, რომელიც მას დისკრიმინაციულად მიაჩნია. 363³ მუხლის თანახმად, სარჩელის აღძვრისას პირმა სასამართლოს უნდა წარუდგინოს ფაქტები და შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდის საფუძველს იძლევა, რის შემდეგაც მოპასუხეს ეკისრება მტკიცების ტვირთი, რომ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა. შესაბამისად, მათი მხრიდან ინფორმაციის გაუცემლობამ, შესაძლოა, დაარღვიოს პირის სასამართლოსადმი მიმართვის უფლება.

ზემოაღნიშნული წერილის მიღებამდე, 2016 წლის 18 ივლისს შსს გენერალური ინსპექციის დეპარტამენტმა სახალხო დამცველის აპარატს მიაწოდა გამოთხოვილი ინფორმაცია და განუმარტა, რომ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების მასალები შემდგომი რეაგირებისთვის გადაიგზავნა შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურაში. გენერალური ინსპექციის დეპარტამენტის წერილს თან ერთვის ინციდენტში მონაწილე საპატრულო პოლიციის თანამშრომლების სამხრე და მანქანის ვიდეოკამერების ჩანაწერები, მათი ახსნა-განმარტებები და ადგილზე შედგენილი სამართალდარღვევის ოქმი.

სახალხო დამცველმა საქართველოს პროკურატურიდან ასევე გამოითხოვა ინფორმაცია შსს გენერალური ინსპექციის დეპარტამენტიდან მიღებულ საქმის მასალებზე განხორციელებული რეაგირების შესახებ. საქართველოს პროკურატურის 2016 წლის 4 აგვისტოს საპასუხო წერილის თანახმად, დაწყებულია გამოძიება შსს-ს თანამშრომლების მიერ დ. ხ-ს მიმართ განხორციელებული დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის ფაქტზე.

სახალხო დამცველისთვის შსს გენერალური ინსპექციის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის თანახმად, 2016 წლის 15 ივნისს, საპატრულო პოლიციის მანქანამ გააჩერა ავტომანქანა. მძღოლმა, ი. გ-მ უარი განაცხადა ალკო ტესტის გავლაზე და არაერთგზის განაცხადა უარი დამორჩილებოდა ინსპექტორების კანონიერ მოთხოვნებს, კერძოდ, ხელს უშლიდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაში, მიაყენა მათ სიტყვიერი შეურაცხყოფა, დაკავებისას უწევდა წინააღმდეგობას. ი. გ. დაკავებულ იქნა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის საფუძველზე.

როგორც გამოკვლევული ფაქტობრივი გარემოებებიდან ირკვევა, პირველი ეკიპაჟი (N4208, პატრულ-ინსპექტორები გ. ა. და დ. ჩ.) მიჰყვებოდა მანქანას, რომელშიც განმცხადებელი იჯდა. მანქანა გადავიდა გზიდან და გაჩერდა. მის უკან კი, შეჩერდა პატრულის პირველი ეკიპაჟი. საპატრულო მანქანის ვიდეოკამერის ჩანაწერიდან ჩანს, თუ როგორ გადმოდის მძღოლის

ადგილიდან ი. გ. ჩანაწერის თანახმად, გაჩერებიდან 3 წუთის შემდეგ, დ. ხ-ს მეგობრები ცდილობენ საბარგულიდან ეტლის გადმოტანას, მაგრამ პატრულის თანამშრომლები მათ უხეშად ექცევიან და ეტლის გადმოტანის შესაძლებლობას არ აძლევენ. ვიდეოჩანაწერების ქრონომეტრაჟის გათვალისწინებით, პირველ და მეორე ვიდეოჩანაწერებს შორის წყვეტის ხანგძლივობა დაახლოებით 15 წუთს შეადგენს. მეორე ვიდეოჩანაწერში ასახულია, რომ განმცხადებლის თანმხლები პირები კვლავ ცდილობენ ეტლის ამოღებას, მაგრამ პატრულ-ინსპექტორი ფიზიკურად ეხება ი. გ-ს, ხელს კრავს მას და უხეშად კეტავს საბარგულს. ვიდეოჩანაწერის ბოლოს ჩანს, რომ შემთხვევის ადგილზე, პატრულ-ინსპექტორების მიერ განმცხადებლის მანქანის გაჩერებიდან დაახლოებით 45 წუთის შემდეგ, ადგილზე მივიდა მეორე საპატრულო ეკიპაჟი (N211, პატრულ-ინსპექტორი ლ. გ. და მისი მეწყვილე). მანქანის გაჩერებიდან დაახლოებით 1 საათში, ეტლი საბარგულიდან ამოიღეს და მანქანასთან დადგეს. მანქანის გაჩერებიდან დაახლოებით 1 საათისა და 40 წუთის შემდეგ, მივიდა მანქანის ევაკუატორი, ხოლო გაჩერებიდან 2 საათისა და 8 წუთის შემდეგ ადგილზე მყოფ ორ ეკიპაჟს შეუერთდა მესამე ეკიპაჟი (N4209, ოცეულის მეთაური მ. კ. და პატრულ-ინსპექტორი გ. ნ.). მესამე ეკიპაჟის მისვლიდან მალევე, ი. გ. და დ. ხ. შორის მოხდა შელაპარაკება ვიდეოჩანაწერში კარგად არ ჩანს, თუ რა მოხდა სინამდვილეში, რის შემდეგაც პატრულ-ინსპექტორებმა ი.გ. უხეშად მოაშორეს მანქანას და დააკავეს.

პირველი ეკიპაჟის წევრის, პატრულ-ინსპექტორის გ. ა-ს 2016 წლის 6 ივლისის ახსნა-განმარტების თანახმად, 15 ივნისს იგი თავის მეწყვილესთან დ. ჩ-სთან ერთად ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას. განმარტების თანახმად, მათ გზაზე მიმავალი მანქანის ნომერი გადაამოწმეს, დაადგინეს რომ მის მესაკუთრეს ი. გ-ს, აკრძალული ჰქონდა მართვა და აღნიშნულის გამო გააჩერეს მანქანა. განმარტების თანახმად, მათ იმიტომ არ მისცეს საბარგულიდან ეტლის გადმოღების უფლება, რომ დ. ხ. ვიზუალურად იმყოფებოდა ნასვამ მდგომარეობაში და მისი გადმოსვლის შემდგომ მოსალოდნელი იყო, რომ მას ხელი შეეშალა მათთვის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაში. განმარტების თანახმად, მათ დ. ხ-სგან არ გაუგიათ, რომ ფიზიოლოგიური მოთხოვნილების დაკმაყოფილება უნდოდა, აღნიშნულის თაობაზე ინსპექტორებს უთხრეს სხვა მგზავრებმა, რის პასუხადაც ინსპექტორებმა მათ განუმარტეს, რომ 200 მეტრის მოშორებით იყო ბენზინგასამართი სადგური, რომელსაც ჰქონდა კომფორტული საპირფარეო და როდესაც დაასრულებდნენ საჯარიმო ქვითრის შედგენას, შემდგომ შეემლოთ წასულიყვნენ აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად. ინსპექტორი განმარტავს, რომ მგზავრებისთვის არანაირი შეურაცხყოფა არ მიუყენებია. აღნიშნულს ადასტურებს მისი მეწყვილე, პატრულ ინსპექტორი დ. ჩ. თავის 2016 წლის 6 ივლისის ახსნა-განმარტებაში.

მეორე ეკიპაჟის წევრის, პატრულ-ინსპექტორ ლ. გ-ს 2016 წლის 6 ივლისის ახსნა-განმარტების თანახმად, 15 ივნისს დაფიქსირდა დ. ხ-ს სატელეფონო პრეტენზია. ლ. გ. აღნიშნავს, რომ ადგილზე მისვლისას გაესაუბრა მოქალაქე დ. ხ-ს, რომელიც იყო „ინვალიდის“ ეტლის მომხმარებელი და რომელმაც განმარტა, რომ პატრულ-ინსპექტორებმა გ. ა-მა და დ. ჩ-მ არ მისცეს მანქანიდან გადმოსვლის უფლება ფიზიოლოგიური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ლ. გ-ს ახსნა-განმარტების თანახმად, დ. ხ-ს ვიზუალურად ეტყობოდა, რომ იგი იყო ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ.

მესამე ეკიპაჟის წევრების, ოცეულის-მეთაური მ. კ-ს და პატრულ-ინსპექტორ გ. ნ-ს 2016 წლის 6 ივლისის ახსნა-განმარტებების თანახმად, ისინი 15 ივნისს, დაახლოებით 07:00 საათზე მივიდნენ N4208 ეკიპაჟთან, ვინაიდან პატრულ ინსპექტორებს გ. ა-ს და დ. ჩ-ს გაჩერებული ჰყავდათ მანქანა, რომლის მძღოლი უარს აცხადებდა ალკო-შემოწმებაზე. დ. ხ-ს გამოძახებით, ადგილზე დამატებით იმყოფებოდა N211 ეკიპაჟი, რომლის წევრმაც ა. გ-მ რეაგირების ოქმი შეადგინა. დ. ჩ-ის და გ. ა-ის ზეპირი განმარტების თანახმად, ი. გ. პოლიციას აყენებდა ფიზიკურ შეურაცხყოფას და არ ემორჩილებოდა, მ. კ-ს და გ. ნ-ს ადგილზე ყოფნის პერიოდში, ი. გ-მ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მის მგზავრს დ. ხ-ს. მათი იქ ყოფნის პერიოდში, ეტლი იდგა მანქანასთან, დ. ხ. უარს აცხადებდა მანქანიდან გადმოსვლაზე, რადგან მანქანა საჯარიმო ავტოსადგომზე უნდა გადაეყვანათ და იგი ელოდებოდა, რომ მოაკითხავდა ნათესავი. მ. კ-ის განმარტებაში დამატებით აღნიშნულია, რომ დ. ხ-მ უამბო, რომ პატრულ ინსპექტორებმა მას არ მისცეს მანქანიდან გადმოსვლის უფლება ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად და, რომ ამის თაობაზე აცნობა პატრულ-ინსპექტორ ლ. გ-ს, რაც ლ. გ-მ არ დაადასტურა.

დ. ჩ-ს სამხრე კამერის ჩანაწერი არის ფრაგმენტული და წყდება იმ ნაწილში, სადაც ისმის, თუ როგორ იწყებს პატრული-ინსპექტორი ყვირილს. კადრში ჩანს დ. ხ., რომელიც სავარაუდოდ არაფხიზელ მდგომარეობაშია. მას მოსდის შელაპარაკება პატრულთან (მიმართავს „ბიჭო“), რომელიც მშვიდი ტონით ესაუბრება განმცხადებელს. იგი ითხოვს საბარგულიდან ეტლის გადმოტანას და მანქანიდან გადმოსვლას, პატრულის ინსპექტორი მას უხსნის რომ ის მანქანაში უნდა დარჩეს. დ. ხ-ს მეგობარი ინსპექტორებს უხსნის, რომ დ-ს ესაჭიროება ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, რაზეც ერთ-ერთი ინსპექტორი აღნიშნავს, რომ შუა ქუჩაში ვერ გადმოიყვანენ, 200 მეტრის მოშორებით არის ბენზინგასამართი სადგური, სადაც, ჯარიმის გამოწერის შემდეგ შეუძლიათ წავიდნენ. ერთ-ერთი ინსპექტორი განსაკუთრებით უხეშად ექცევა ი. გ-ს და უყვირის. პატრულ-ინსპექტორი ზრდილობიანად და მეგობრულად ესაუბრება დ. ხ-ს და უხსნის, რომ იმ შემთხვევაში, თუ ი. გ. დათანხმდება ალკო-ტესტის გავლას, ისინი მანქანას არ გადაიყვანენ საჯარიმო სადგომზე, ვინაიდან, საჭესთან მისი ფხიზელი მეგობარი დაჯდებოდა, რის შემდეგაც შემდეგდნენ გზის გაგრძელებას.

კიდევ ერთი შელაპარაკება მოხდა, როდესაც ი. გ-მ უარი განაცხადა ალკო-ტესტის გავლაზე და ეტლის ამოღება სცადა საბარგულიდან, რა დროსაც იგი ამბობს: „მეც წავალ, მეგობარსაც წავიყვან და მანქანას თქვენ დაგიტოვებთ“-ო, ამ დროს პატრულ-ინსპექტორი მას უხეშად ეხება ფიზიკურად, რის შემდეგაც ინსპექტორი იწყებს ყვირილს და ვიდეოჩანაწერი წყდება.

ერთ-ერთ მოკლე ვიდეოში ჩანს, როგორ სთავაზობს პატრულ-ინსპექტორი მანქანის ერთ-ერთ მგზავრს, რომლის სახეც ჩანაწერში არ ჩანს, მანქანის გაჩერებას და სასურველი მიმართულებით წასვლას. შემდეგ ვიდეოჩანაწერში ასახულია ინციდენტის დაწყებიდან გარკვეული დროის გასვლის შემდგომი პერიოდი, როდესაც ი. გ. ჩხუბით გამოყავთ მისი მანქანიდან და აკავებენ. ვიდეოჩანაწერში ჩანს ი. გ-ს დაკავების მომენტი, რაზეც, მოგვიანებით, პატრულ-ინსპექტორებმა განაცხადეს, რომ ი. გ. დააკავეს, რადგან ფიზიკურად შეეხო „ინვალიდს“. თუმცა, ვიდეოჩანაწერებიდან არ ჩანს ი. გ-მ ნამდვილად მიაყენა თუ არა ფიზიკური შეურაცხყოფა დ. ხ-ს. ამასთან, მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ი. გ-ს დაკავება მოხდა საქართველოს

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით (სამართალდამცავის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა) გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის გამო, რაც, გარკვეულ წინააღმდეგობაშია პატრულ-ინსპექტორების ახსნა-განმარტებებთან.

პატრულ-ინსპექტორ ლ. გ-ს სამხრე კამერის ჩანაწერები არის ფრაგმენტული და ხანმოკლე. ვიდეოჩანაწერში ჩანს, როგორ ცდილობს ის დაელაპარაკოს განერვიულებულ დ. ხ-ს, რომელიც იგინება. ჩანაწერიდან ასევე ირკვევა, რომ დ. ხ. უყვება მას განვითარებული მოვლენების შესახებ და დასველებულ შარვალს აჩვენებს. ლ. გ-მ ოქმში ასახა დ. ხ-ს პრეტენზია, თუმცა დ. ხ. ამბობს, რომ შეუძლოდაა და შედგენილ ოქმს ვერ მოაწერს ხელს. ჩანაწერში ისმის განმცხადებლის მეგობრის ზ. პ-ს ნათქვამი, რომ დ. ხ. გუშინ ღამე ნასვამი იყო და ალბათ უკვე გამოფხიზლებულია. ჩანაწერის ბოლოს ჩანს, რომ განმცხადებელი თავს შეუძლოდ გრძნობს, რის გამოც პატრული მას სასწრაფო დახმარების ბრიგადის გამოძახებას სთავაზობს, რაზეც დ. ხ. ხელის გაქნევით უარს ეუბნება.

2016 წლის 22 ივლისს განმცხადებლის წარმომადგენელმა ა. ა-მ სახალხო დამცველს წარმოუდგინა წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრის (GCRT) მიერ დ. ხ-ს ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით 2016 წლის 16 ივნისს, ინციდენტის მომდევნო დღეს, განმცხადებლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმების საფუძველზე გაცემული ცნობა, რომლის თანახმად, დ. ხ-ს ადრე არსებული დაავადების გამო აღინიშნებოდა ტროფიული წყლული, რომელიც შეხორცებული იყო. ასევე, დ. ხ-ს გადმოცემით, 4 საათის განმავლობაში მანქანაში იძულებით ჯდომის შედეგად მოხდა ტროფიული წყლულის ხელახალი გახსნა, რის გამოც, დ. ხ-ს ბინაში ორჯერ გამოიძახეს სასწრაფო დახმარება. დათვალიერებით, მარცხენა თეძოს ქვედა მხარეზე აღინიშნება კანის დეფექტი, დაახლოებით 4-5 სმ დიამეტრით, გარქოვანებული კანით, შეცვლილი, მოყავისფერო ფერის ჩაღრმავებული. კანი შემოწმების დროს იყო მშრალი, გამონადენი არ აღინიშნებოდა.

2. სამართლებრივი შეფასება

2.1. ზოგადი დებულებები

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა.

ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, პირდაპირი დისკრიმინაცია არის ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან

შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ირიბი დისკრიმინაცია არის ისეთი მდგომარეობა, როდესაც ფორმით ნეიტრალური და არსით დისკრიმინაციული დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა პირს ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

დასახელებული მუხლების შინაარსიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ დისკრიმინაცია სახეზეა, მათ შორის, როდესაც პირს ხელი ეშლება *საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობისას, არსებობს თანაბარი მოპყრობა განსხვავებულ პირობებში მყოფი პირების მიმართ*, არ არსებობს *კანონით განსაზღვრული მიზანი*, თანაბარ მოპყრობას არ აქვს *ობიექტური და გონივრული გამართლება* და იგი *დასახული მიზნის არათანაზომიერია*.

ზემოაღნიშნული კანონის მსგავსად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, დისკრიმინაციას ასევე წარმოადგენს მსგავსი მოპყრობა არსებითად განსხვავებულ მდგომარეობაში მყოფი პირების მიმართ, როდესაც არ არსებობს ობიექტური და გონივრული გამართლება.¹

2.2. კანონით გათვალისწინებული უფლება, რომლით სარგებლობისას ადგილი ჰქონდა თანაბარ მოპყრობას არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფი პირის მიმართ

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის თანახმად, დისკრიმინაციას წარმოადგენს, მათ შორის, ისეთი მოპყრობა, ან პირობების შექმნა, რომელიც თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნული სტანდარტი გამოიყენა საქმეში, სადაც განიხილებოდა შუზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ განხორციელებული დისკრიმინაციის შემთხვევა, რამდენადაც, სასამართლომ მიიჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, ისინი იმყოფებიან განსხვავებულ მდგომარეობაში და ესაჭიროებათ განსხვავებული მოპყრობა.²

¹ ECtHR, *Thlimmenos v. Greece*, no. 34369/97, 06/04/2000, §44

² ECtHR, *Pretty v. United Kingdom*, no. 2346/02, 29/07/2002, §88

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად, კონვენციის პრინციპია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა **განსხვავებულობისადმი** პატივისცემა და მათი **აღიარება** ადამიანთა შორის არსებული **განსხვავებულობის შემადგენელ ნაწილად**. შესაბამისად, კონვენცია ადგენს, რომ სახელმწიფო და საზოგადოება ვალდებულია, პატივი სცეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სპეციფიურ საჭიროებებს და უზრუნველყოს შესაბამისი გარემო, რათა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა სხვებთან თანასწორ პირობებში შეძლონ საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზება.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ წინამდებარე შემთხვევაში, საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა ვერ შეძლეს დაძაბულ ვითარებასთან გამკლავება იმგვარად, რომ დ. ხ-ს, საკუთარი საჭიროებების შესაბამისად, დაეტოვებინა ინციდენტის ადგილი და ესარგებლა საპირფარეოზე ხელმისაწვდომობის უფლებით.

ამასთან, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საპირფარეოზე ხელმისაწვდომობის უფლება არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 (წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვა) მუხლიდან გამომდინარე და თუ პირი საბაზისო მოთხოვნილების დაკმაყოფილებისას სხვა ადამიანზე არის დამოკიდებული, ეს თავისთავად დამამცირებელია.³

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის მთავარი ღირებულება არის ადამიანი, როგორც თვითმყოფადი, თავისუფალი და სხვა ადამიანების თანასწორი სუბიექტი. ღირსებაში იგულისხმება სოციალური მოთხოვნა სახელმწიფოს მხრიდან ადამიანის პატივისცემაზე.⁴

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენციის ერთ-ერთ ქვაკუთხედს წარმოადგენს ადამიანის ღირსების, მისი ინდივიდუალური ავტონომიის პატივისცემა, გადაწყვეტილების მიღების თავისუფლებისა და პიროვნების დამოუკიდებლობის ჩათვლით, რაც კონვენციის მე-3 მუხლით არის გარანტირებული.

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ გაეროს საერთაშორისო პაქტის მე-7 მუხლის თანახმად, *არავინ არ უნდა განიცდიდეს წამებას ან სასტიკ, არაადამიანურ ან მისი ღირსების დამამცირებელ მოპყრობასა თუ სასჯელს*. აღნიშნული მუხლის მიზანია ადამიანის ღირსებისა და მისი ფიზიკური თუ ფსიქიკური ხელშეუხებლობის დაცვა.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის მიხედვით, *არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას*.

³ ECtHR, *Helhal v. France*, no. 10401/12, 19/02/2015, § 52; *Zarzycki v. Poland*, no. 15351/03, 12/03/2013, §104; *D.G. v. Poland*, no 45705/07, 12/02/2013, §§ 147, 150

⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის N2/2-389 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე მაია ნათამე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“, II-30

როგორც საქმის გარემოებებიდან ირკვევა, პოლიციამ განმცხადებელს არ მისცა გარკვეული მოქმედების განხორციელების, კერძოდ, ფიზიოლოგიური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად მანქანიდან გადმოსვლის შესაძლებლობა. მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებელი ოფიციალურად არ იყო დაკავებული, ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული, იგი გარკვეული პერიოდის განმავლობაში იმყოფებოდა პოლიციის კონტროლის ქვეშ იმ ინტენსივობით, რომ ვერ შეძლო ესარგებლა საპირფარეშოთი.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, არასათანადო მოპყრობამ უნდა მიაღწიოს სიმკაცრის მინიმალურ ზღვარს, რომ მოექცეს მე-3 მუხლით დაცულ სფეროში. მინიმალური ზღვარის შეფასება არის ფარდობითი და დამოკიდებულია კონკრეტული საქმის ცალკეულ გარემოებებზე, როგორცაა მოპყრობის ხანგრძლივობა, მისი ფიზიკური და ფსიქიკური გავლენა ადამიანზე, ასევე, მსხვერპლის სქესი, ასაკი და ჯანმრთელობის მდგომარეობა. ამასთან, მე-3 მუხლის დარღვევის დასადგენად აუცილებელი წინაპირობა არ არის პირის მიაღგეს ფიზიკური დაზიანება.⁵

ღირსების უფლების დარღვევის დადგენისას, მნიშვნელოვანი ფაქტორია, იყო თუ არა მიზანი შეურაცხყოფა და დამცირება იმ ადამიანის, რომლის მიმართაც განხორციელდა მოპყრობა, თუმცა, ასეთი მიზნის არარსებობა ავტომატურად არ გამორიცხავს მე-3 მუხლის დაღვევის არსებობას.⁶ მოპყრობა „დამამცირებლად“ ჩაითვლება, როდესაც იგი მსხვერპლში იწვევს შიშის, დიდი ტკივილის და არასრულფასოვნების შეგრძნებას, რომელმაც შესაძლოა გატეხოს მსხვერპლის ფიზიკური და მორალური წინააღმდეგობის გაწევის უნარი.⁷ მაგალითად, საქმეში *დორდევიჩი ხორვატიის წინააღმდეგ*, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის შევიწროებამ - რომელმაც შიშისა და უმწიობის შეგრძნებასთან ერთად გამოიწვია ფიზიკური დაზიანებები, მიაღწია სისასტიკის ზღვარს კონვენციის მე-3 მუხლის მიზნებისთვის.⁸

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტების თანახმად, არ არსებობს რაიმე წინასწარგანსაზღვრული სავალდებულო ნიშნები, რომელიც დაადასტურებდა განმცხადებლის დამცირების ან შეურაცხყოფის განზრახვას. თუმცა, სასამართლომ მიიჩნია, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის დაკავება ისეთ გარემოებებში, სადაც უკიდურესად ცივა, არსებობს რისკი, რომ განუვითარდეს წყლულები, რადგან საწოლი არის ძალიან მაგარი ან მიუწვდომელი, და როცა მას არ შეუძლია საპირფარეშოთი სარგებლობა ან სუფთად ყოფნა განსაკუთრებული სირთულეების გარეშე, წარმოადგენს დამამცირებელ მოპყრობას.⁹

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განმარტავს, რომ მიუხედავად იმისა დამცირების განზრახვა იყო თუ არა სახეზე, პირის გაჩერება ისეთ პირობებში სადაც ის ვერ სარგებლობს ცივილიზებული ცხოვრების უფლებით და არ აქვს ხელმისაწვდომობა საპირფარეშოზე, არ არის

⁵ ECtHR, *Balázs v. Hungary*, no. 15529/12, 20/10/2015, § 48; *Gäfgen v. Germany* [GC], no. 22978/05, 01/06/2010, § 131; *Kurt v. Turkey*, no. 24276/94, 25/05/1998, §§ 133-34

⁶ ECtHR, *Peers v. Greece*, no. 28524/95, 19/04/2001, §§ 67-68, 74.

⁷ ECtHR, *Wieser v. Austria*, no. 2293/03, 22/02/2007, § 36.

⁸ ECtHR, *Đorđević v. Croatia*, no. 41526/10, 24/07/2012, § 96.

⁹ ECtHR, *Price v. United Kingdom*, no. 33394/96, 10/10/2001, § 30.

თანხვედრაში ადამიანის ღირსების უფლებასთან, განსაკუთრებით კი თუ აღნიშნულს ერთვის თვითნებური თავისუფლების აღკვეთა, თუნდაც მცირე ხნით.¹⁰

ერთ-ერთ საქმეში ევროპულმა სასამართლომ დაადგინა მე-3 მუხლის დარღვევა, რადგან სახელმწიფოს წარმომადგენლებმა მხედველობაში არ მიიღეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე განმცხადებლის საჭიროებები, რის გამოც მას საპირფარეშოთი სარგებლობისას შეექმნა სირთულეები, სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ მე-3 მუხლის დარღვევის შეფასებისას, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სანიტარული საშუალებების ხელმისაწვდომობას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ადამიანი პირდაპირ არის დამოკიდებული პოლიციის ოფიცრის კეთილ ნებაზე.¹¹

შესაბამისად, სახალხო დამცველი მივიდა დასკვნამდე, რომ დ. ხ-ს მიმართ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე-პირისათვის საჭირო სპეციფიური, მაშასადამე მისთვის განსხვავებული მოპყრობის ვერ უზრუნველყოფის გამო, განმცხადებელს შეეზღუდა საპირფარეშოთი სარგებლობის უფლება, რამაც შედეგად განმცხადებლის ღირსების შელახვა გამოიწვია.

2.3. ლეგიტიმური მიზანი და თანაბარი მოპყრობის ლეგიტიმური გამართლება

განმცხადებლის მიმართ ამგვარი მოპყრობის ლეგიტიმურობის დასაბუთების მიზნით, მოპასუხემ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ განმარტა, რომ სამინისტროს მოსამსახურეებმა განმცხადებელს და მის თანმხლებ პირებს არ მისცეს ეტლის საბარგულიდან გადმოტანის საშუალება, ვინაიდან, დ. ხ-ს ნასვამ მდგომარეობაში ყოფნის გამო, მოსალოდნელი იყო, რომ მანქანიდან გადმოსვლის შემთხვევაში, იგი პატრულ–ინსპექტორებს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაში ხელს შეუშლიდა. ამასთან, ინსპექტორებმა მგზავრებს განუმარტეს, რომ 200 მეტრის მოშორებით იყო ბენზინგასამართი სადგური, რომელსაც ჰქონდა კომფორტული საპირფარეშო და როდესაც საჯარიმო ქვითრის შედგენას დაასრულებდნენ, შეეძლოთ წასულიყვნენ აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად.

სახალხო დამცველი აცნობიერებს საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მიერ საკუთარი სამსახურებრივი მოვალეობის შეუფერხებლად შესრულების მნიშვნელობას, თუმცა, განსახილველ შემთხვევაში, ვერ გაიზიარებს მოპასუხის არგუმენტს განმცხადებლისათვის ასეთი ხანგძლივი დროის განმავლობაში საპირფარეშოთი სარგებლობის უფლების შეზღუდვის უკიდურეს აუცილებლობასთან დაკავშირებით. როგორც ვიდეოჩანაწერებიდან ჩანს, ი. გ-სთვის ჯარიმის გამოწერა ვერ ხერხდებოდა 1 საათის განმავლობაში, რაც საკმარისი დროა იმის გასაცნობიერებლად, რომ სიტუაცია არ არის მარტივად მოგვარებადი. ასეთ პირობებში, აუცილებელი იყო პატრულ–ინსპექტორებს გაეთვალისწინებინათ ის გარემოება, რომ დ. ხ. მთელი ამ ხანგძლივი დროის განმავლობაში იმყოფებოდა აუტანელი სტრესის ქვეშ და გაეტარებინათ იმგვარი ღონისძიებები, რომელებიც შესაბამისობაში იქნებოდა განმცხადებლის საჭიროებებთან და

¹⁰ ECtHR, *Asalya v. Turkey*, no. 43875/09, 15/04/2014, § 53; *Aleksandra Dmitriyeva v. Russia*, no. 9390/05, 3/11/2011, § 84.

¹¹ ECtHR, *Asalya v. Turkey*, no. 43875/09, 15/04/2014, § 51; *Grimailovs v. Latvia*, no. 6087/03, 25/06/2013, § 158.

არ გამოიწვევდა მისი ღირსების შელახვას. ამასთან, საკამათოა, განმცხადებლის საპირფარეშოთი სარგებლობის უფლების უზრუნველყოფა რამდენად შექმნიდა დამატებით წინააღმდეგობას პატრულ-ინსპექტორების მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, კერძოდ, ამ კონკრეტული სამართალდარღვევის აღკვეთისას, როდესაც განმცხადებლის სამი მეგობარი მანქანიდან უკვე გადასული იყო.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ინდივიდის ხელშეუვალ უფლებას წარმოადგენს მის მიერ გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების და აღნიშნულის მიხედვით მოქმედების შესაძლებლობა. როდესაც პირი, სხვადასხვა გარემოებების გათვალისწინებით, ვერ ახერხებს კონკრეტული ქმედების დამოუკიდებლად განხორციელებას და მისი უფლების რეალიზაციისას იძულებულია დამოკიდებული იყოს გარე ფაქტორებზე, განსაკუთრებით, პოლიციის თანამშრომელზე, უმნიშვნელოვანესია იმგვარი გარემოს არსებობა, რომელშიც პირი საკუთარი ღირსების შელახვის გარეშე შეძლებს ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებული სიმწვავეით იჩენს თავს იმ შემთხვევებში, როდესაც პირის ღირსების დაცვაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო ორგანოა. წინამდებარე შემთხვევაში, განმცხადებელი, რომელიც ინციდენტის განმავლობაში საპატრულო პოლიციის თანამშრომლების კონტროლქვეშ იმყოფებოდა, მათი ნებართვის გარეშე ვერ ახერხებდა მისი საჭიროებების შესაბამისად მოქმედებას.

ამასთან, ხაზგასასმელია, რომ განმცხადებელს არ მიეცა საპირფარეშოთი სარგებლობის შესაძლებლობა. აღნიშნული განსაკუთრებით ამძიმებს განმცხადებლის მდგომარეობას, რომელიც, სხვა, შეზღუდული შესაძლებლობის არმქონე პირებისგან განსხვავებით, მოკლებულია შესაძლებლობას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, დამოუკიდებლად უზრუნველყოს საკუთარი ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. აღნიშნულს ამძაფრებს ის ფაქტი, რომ განმცხადებელს ფიზიოლოგიური მოთხოვნილების დაკმაყოფილება მანქანაში მოუწია, რა დროსაც მის გარშემო რამდენიმე ადამიანი იყო და რის შემდეგაც ის სველ მდგომარეობაში, დაახლოებით, 2 საათის განმავლობაში, აგრძელებდა მანქანაში ჯდომას. მსგავსი მდგომარეობა, მითუმეტეს საჯარო სივრცეში, ნებისმიერი ადამიანისთვის შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი იქნებოდა, განსაკუთრებით კი, განმცხადებლისთვის, რომელიც მოკლებული იყო დამოუკიდებლად გადაადგილების შესაძლებლობას და იმ დროს, მხოლოდ პატრულ-ინსპექტორების კეთილ ნებაზე იყო დამოკიდებული. აღნიშნულმა ინციდენტმა, შესაძლოა ხანგრძლივი კვალი დატოვოს მსხვერპლის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე.

ვინაიდან, დ. ხ-ს შეეზღუდა საპირფარეშოთი სარგებლობის ფუნდამენტური უფლება, რამაც მისი ღირსება შელახა, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ვერანაირი ლეგიტიმური მიზანი ვერ გაამართლებს პატრულ-ინსპექტორთა მხრიდან განმცხადებლის სპეციფიური საჭიროებების უგულებელყოფას.

საქმესთან დაკავშირებული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების ანალიზიდან გამომდინარე, ამავე დროს, იმის გათვალისწინებით, რომ პოლიციის თანამშრომლებს მოქმედება უწევდათ დაძაბულ სიტუაციაში – კერძოდ, ნასვამ მდგომარეობაში მყოფი პირების წინააღმდეგობის პირობებში – პოლიციამ ვერ უზრუნველყო მათი კონტროლის ქვეშ მყოფი

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე განმცხადებელი სათანადო მოპყრობით, რამაც, თავის მხრივ, გამოიწვია განმცხადებლის დამამცირებელ მდგომარეობაში ჩაყენება და შელახა მისი ღირსება.

სახალხო დამცველი ხაზს უსვამს სამართალდამცავთა ვალდებულებას, ნებისმიერ სიტუაციაში, მათ შორის დაძაბულ ვითარებაში, იმოქმედონ იმგვარად, რომ არ შეილახოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები და თავისუფლებები. აღნიშნულის გათვალისწინებით, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მხრიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სპეციფიური საჭიროებების გათვალისწინებლობის შედეგად, განმცხადებელი დაექვემდებარა პირდაპირ დისკრიმინაციას შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20¹ მუხლით და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, სამინისტროს მოსამსახურეთათვის უზრუნველყოს ტრენინგები და სხვა შესაბამისი ღონისძიებები:

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და საჭიროებების შესახებ თეორიული ცოდნის მიღების,
- მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების,
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მონაწილეობით რთული სიტუაციების მართვის უნარების გამომუშავებისა და
- აღნიშნული საკითხის მიმართ მოსამსახურეთა მხრიდან მგრძობელობის ამაღლების მიზნით.

გთხოვთ, თქვენ მიერ გატარებული ღონისძიებების თაობაზე მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,